



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, პროფესორი ზვიად გაბისონია ფოტო: ირა კურმაგვა



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

## რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალ გამოწვევაზე მისი ახალი ბენეფიციარი ზვიად გაბისონია გვსაუბრება

ავტორი: ნათია ზანდუკელი

– პირველ რიგში, მინდა მოგილოცოთ რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორობა და წარმატება გისურვოთ ამ ძალიან მნიშვნელოვან და საინტერესო თანამდებობაზე. პროფესიით იურისტს და არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორს დღეს ქვეყნის ერთადერთი სამეცნიერო ფონდი გაბარიათ. რა გზა გამოიარეთ მეცნიერების მენეჯმენტამდე?

– იურისტების ოჯახიდან ვარ. აქედან გამომდინარე, პროფესიის არჩევისას ბევრი არც მიფიქრია, თუმცა საბჭოთა კავშირის პერიოდში იურისტები, ძირითადად, სისხლის სამართლის

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების განვითარებაზე ორიენტირებული და ინოვაციური სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა, ახალგაზრდა მეცნიერების კარიერული ზრდის ხელშეწყობა, ასევე, ქვეყნისათვის სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევების მხარდაჭერა.

მიმართულებას ირჩევდნენ, მე კი, როგორც 90-იანი წლების წარმომადგენელმა, რადიკალურად სხვა მიმართულება ავირჩიე – ვერძო სამართალი ბიზნეს-სამართლის მიმართულებით. არჩევანი არასოდეს მინანია, ვფიქრობ, უკან რომ დავბრუნდე, ალბათ იმავე გზას გავივლიდი.

– რომ არა ეს წინა პირობა, როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა სხვა პროფესია აგერჩიათ?

– ალბათ ისევ იურისტობას ავირჩევდი, მაგრამ შეიძლება ბიზნეს-ადმინისტრირება მაინც უფრო ახლოს იყოს ჩემთან. გულწრფელად რომ გითხრათ, სხვა პროფესიაზე არასოდეს მიფიქრია. არც სურვილი მქონია.

– რამდენადაც ვხვდები, თქვენ იმ თაობის წარმომადგენელი ხართ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მოახერხა საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება?

– დიახ, ჩემი ბავშვობა 80-იანი წლების ბოლოს და 90-იან წლებს – საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდს უკავშირდება. თუმცა, მე მაინც არ ვფიქრობ, რომ ჩვენ დაკარგული თაობა ვართ, რადგან, მიუხედავად ბევრი სირთულისა, მაინც მოვახერხეთ განათლების მიღება და ზოგმა საზღვარგარეთაც. მე თავიდანვე მიზნად მქონდა დასახული გერმანიაში სასწავლებლად წასვლა და ბავშვობიდან ვსწავლობდი გერმანულს. თანაც, სამოქალაქო კოდექსი, ძირითადად, გერმანული კოდექსის მიხედვით არის შექმნილი, გერმანული ექსპერტების მხარდაჭერითა და მათი ძალიან დიდი ძალისხმევით. აქედან გამომდინარე, ჩემი თაობის დიდმა ნაწილმა, ძირითადად, გემი გერმანიისკენ ავიღეთ. მე 2001 წელს წავედი ევროკავშირის სტიპენდიით, დოქტორანტურის გაცვლითი პროგრამით. დაახლოებით წელიწადნახევარი ვიყავი ბრემენის



ფოტო: ირა კურმაგვა

უნივერსიტეტში და შევძელი საქართველოში პრინციპში პირველს გამეკეთებინა სადოქტორო დისერტაცია საერთაშორისო ვერძო სამართალში. შემდეგ დავბრუნდი, დოცენტის პოზიციაზე დამნიშნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პირდაპირ ლექციების კითხვა დავიწყე. ჩემსა და ჩემს სტუდენტებს შორის სულ რაღაც 4-5 წელი იყო განსხვავება და ეს ძალიან კომიკური იყო, თუმცა საჭირო დისტანცია მაშინვე დავიჭირეთ და ლექტორის იმიჯი თავიდანვე მოვირგე. პედაგოგიური საქმიანობა და კვლევა გერმანიიდან ჩამოსვლის შემდეგ არ შემინეცვებია. ალბათ ნახავდით, გამოქვეყნებული მაქვს მონოგრაფიებიც, წიგნებიც და 30-მდე სამეცნიერო პუბლიკაცია. დაახლოებით წელიწადნახევარია, აქტიურად ვმუშაობ ტექნოლოგიურ სამართალზე – ელექტრონულ კომერციაზე და ე.წ. „ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიების სამართლებრივ რეგულაციებზე, რომელიც უახლესი ტრენდია მთელ მსოფლიოში.

– ასხენეთ, რომ ლექტორის იმიჯი თავიდანვე მოირგეთ და საჭირო დისტანცია დაიჭირეთ სტუდენტებთან. რას გულისხმობთ ამ დისტანციაში და რამდენად მნიშვნელოვანია მისი არსებობა?

– ძალიან კარგი კითხვაა. იცით, ევროპა ძალიან ბევრ რამეს გვასწავლის თუ სწორად ვისწავლით.

ევროპაში ძალიან სწორი დამოკიდებულებაა სტუდენტსა და ლექტორს შორის. მაგალითად, ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელი გახლდათ ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი ფოლკმარ გესნერი, რომელიც პარასკევ საღამოს გამომიგზავნიდა ხოლმე მეილს ან ტელეფონზე დამირეკავდა და მეტყობდა: ზვიად, ამ საღამოს ჩვენთან გამოდი, ლუდი დავლიოთო. დავლევდით ლუდს, ვისაუბრებდით ძალიან ბევრს, მთ შორის სამეცნიერო საკითხებზეც, პოლიტიკაზეც, ჩემს ქვეყანაზეც, ევროპაზეც, საქართველოს სწრაფვაზეც ევროპისკენ. მოვიდოდა ორშაბათი და თითქოს არ ვიცნობდით ერთმანეთს – ის ხდებოდა პროფესორი, მე ვხდებოდი მისი დოქტორანტი. ამგვარი ზღვარის გავლება პრინციპულად მნიშვნელოვანია და მეც ანალოგიურად ვცდილობ ხოლმე ჩემს სტუდენტებთან ურთიერთობას. მიმაჩნია, რომ ზომიერებაშია ჭეშმარიტება და, აქედან გამომდინარე, ამ ნაწილშიც ზომიერება გვმართებს ყველას.

– ალბათ, იგივე შეიძლება ითქვას სამსახურებრივ ურთიერთობებზეც, არა?

– გეთანხმებით, როგორც უკვე ასხენეთ, ერთი თვეა დაახლოებით, რაც რუსთაველის ფონდის გენერალურ დირექტორად დავინიშნე. ძალიან



ფოტო: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის არქივი

კმაყოფილი და ბედნიერი ვარ იმით, რომ სწრაფად შევძელით ერთმანეთთან ადაპტაცია და ადვილად შევთამაშდით პროფესიულ საქმიანობაში, ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე ვიცით. ვიცით, რომ დავალეგებები უნდა სრულდებოდეს მყისიერად და სწრაფად. დღეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ძალიან ამბიციური გეგმა აქვს – განათლების სისტემის ყველა მიმართულება ერთდროულად, სწრაფად განავითაროს და გათვალისწინოს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერსპექტივაზე. ამაში უდიდესი როლი აკისრია ჩვენს ფონდს; შესაბამისად, ფონდის ყველა თანამშრომელმა თავისი ვალდებულებები კონკრეტულად უნდა იცოდეს და ძალიან სწრაფად და ეფექტურად ასრულებდეს.

– ძალიან სწრაფად დავიკავებ ჩვენი ადგილები და შევთამაშდით, ამბობთ. თვითონ თქვენთვის რამდენად სასურველი ან მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ფონდის დირექტორი გახდებოდით?

– სიმართლე გითხრათ, ჩემი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ განმიხილავს საჯარო სამსახურში მუშაობა. მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში აბსოლუტურად თავისუფალი ვიყავი კვლევებშიც, პედაგოგიურ საქმიანობაშიც

და ჩემს ბიზნეს-საქმიანობაშიც – მგონი არ მითქვამს, რომ მე წლების განმავლობაში იურიდიულ პრაქტიკას ვწყოდი და საკმაოდ მაღალანაზღაურებადი იურისტი ვიყავი. გარწმუნებთ, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ფონდის საქმიანობითაც კარგად გამიცნონ.

– თქვენი აზრით, როგორ უნდა აისახოს მეცნიერება ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე?

– იცით, მე მაინც მგონია, რომ მეცნიერება უნდა იყოს გაბოძვადი – კონკრეტულ შედეგებზე უნდა იყოს გათვლილი. როცა ვამბობთ, რომ ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და ჩვენ ბევრს ვმუშაობთ იმაზე, რომ აქტიურად დავინწყოთ სახსრების მოძიება დონორი ორგანიზაციებიდან, რაც ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ჩვენთვის სულ ერთი არ არის, სად და როგორ დაიხარჯება ჩემი და თქვენი გადახდილი გადასახადებიდან მიღებული თანხები. ვფიქრობ, რომ ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვიყოთ პრაქტიკაზე ორიენტირებულნი. რა თქმა უნდა, მეცნიერებას არ უნდა დავცილდეთ, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ მეცნიერება გაბოძვადი არ არის, უნდა მივატოვოთ და არ დავაფინანსოთ, მაგრამ პრიორიტეტების განსაზღვრისას ამას ყოველთვის ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ჩვენ პატარა და ჯერჯერობით არც თუ ისე მდიდარი ქვეყანა ვართ, ამიტომ კონკრეტული მიზნები უნდა დავისახოთ და ზუსტი პრიორიტეტები განვსაზღვროთ.

– და თქვენთვის რა არის ეს პრიორიტეტები?

– ტექნოლოგიები და ინოვაციები ჩვენთვის პრიორიტეტულია. „ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიების ნაწილში საქართველო ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, პატარა ქვეყნებს აქვთ შანსი კონკურენტუნარიანი გახდნენ ამ მიმართულებებით. მეცნიერების დიდი მიმართულებები ძალიან ძვირადღირებულია. მე არ ვამბობ იმას, რომ ამ მიმართულებით ჩვენ დაფინანსება უნდა შევწყვიტოთ, მაგრამ პრიორიტეტობაცაა საქართველოს აუცილებლად სჭირდება.

– იქნებ დავაბუსტოთ? რუსთაველის ფონდი, მაგალითად, მხარს უჭერს ისეთ პროექტებს, რომლებიც ხორციელდება იულისის კვლევით ცენტრს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის და ასევე ატომური კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში (CERN). ქართველი მეცნიერების წარმატების ამბავიც არაერთხელ გვსმენია, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს კვლევები ძალიან ძვირადღირებულია...

– უდავოდ, ფიზიკა არის ის მიმართულება, რომელითაც საქართველო უნდა ამყობდეს. ამას წინათ მქონდა შეხვედრა უცხოელ ექსპერტებთან, მათ რამდენჯერმე ახსენეს – რომელ დიდ კვლევით ინსტიტუტშიც უნდა ჩახვიდეთ, აუცილებლად დაგხვდებით ქართველი. ალბათ ხვდებით, როგორი სიამაყის განცდა დამეუფლა. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით არანაირი კითხვის ნიშანი არსებობს. მე გაძლევთ პირობას, რომ ეს პროექტები აუცილებლად გაგრძელდება, მეტიც, ვგეგმავთ, რომ გავაფართოოთ CERN-ის პროექტებში ჩვენი ჩართულობა. სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად, ვმუშაობთ დონორების მოზიდვაზეც, რაც მეცნიერების კიდევ უფრო ფართოდ ხელშეწყობას გახდის შესაძლებელს. ისედაც, ჩვენ გვყავს არაჩვეულებრივი ბიოლოგები, ქიმიკოსები, რომელთაც ამას წინათ შეხვედრაზე აღფრთოვანებული ვუსმენდი. მიმაჩნია, რომ მათ უნდა დავუჭიროთ მხარი. ასევე, ხელი უნდა შევუწყოთ ახალგაზრდა მეცნიერებს, რომ ხიდჩატეხილობის პრობლემა გადაიჭრას.

– როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა, რომ ახალგაზრდა მეცნიერებს სახელმწიფოს



ფოტო: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის არქივი

თანადგომით მიღებული ცოდნის საქართველოში ინვესტირების გარკვეული ვალდებულება ჰქონდეთ?

– იცით, გერმანიაში, სადაც მე ევროკავშირის გრანტით ვიყავი, მყავდა კურსელები პოსტბაკალავრიატიდან და თითოეულ მათგანს კონტრაქტი ედო სამშობლოში დაბრუნების ვალდებულება. თავიდან ეს პროტესტის გრძნობას იწვევდა ჩემში, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც საქართველოში დავბრუნდი და ასე თუ ისე ამ საკითხებზე ფიქრი მომიწია, მიხვდით, რომ ეს სულაც არაა ცუდი – სახელმწიფო აკეთებს ინვესტირებას განათლებაში, რათა შემდეგ ეს ცოდნა მოხმარდეს ქვეყანას, შედეგი უნდა ჰქონდეს ქვეყნისთვის. ვფიქრობ, არაფერია ცუდი იმაში, თუ საკონტრაქტო ვალდებულებაში ჩავდებით, რომ ფონდის მიერ დაფინანსებულმა მეცნიერებმა რაღაც პერიოდის განმავლობაში საქართველოსთვის იმუშაონ და საქართველოს მომავლისთვის შექმნან რაიმე. შეიძლება ცოტა იმპერატიულად ჟღეროს, მაგრამ ეს არის საერთაშორისო პრაქტიკა; ჩვენ ხომ ახალს არაფერს ვქმნით. სხვათა შორის, ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი უცხოეთში მცხოვრები მეცნიერების დაახლოება ქართველ მეცნიერებთან. დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი



ფოტო: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის არქივი

ქართველი, რომელ ქვეყანაშიც უნდა იყოს ის, სიამოვნებით დაგვეხმარება და ჩაერთვება ერთობლივ კვლევებში.

– დონორები ახსენეთ, კერძო სექტორი იგულისხმეთ თუ საერთაშორისო ორგანიზაციები?

– ორივე. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა, მაგალითად, ევროკავშირი და მსოფლიო ბანკი. ამ მიმართულებით ძალიან გჭირდება გააქტიურება, ჩვენ ცოტა მოვისუსტებთ სახსრების მოძიებაში – ე.წ. fundraising-ი. ფონდის საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს წევრებს ვთხოვე ამ მიმართულებით დახმარება – მინდა ავიყვანოთ კონსულტანტები, რომლებიც რაც შეიძლება მოკლე პერიოდში ასწავლიან fundraising-ს ჩვენს რამდენიმე თანამშრომელს, დანარჩენს კი გამოცდილება მოიტანს. რაც შეეხება მეორე მიმართულებას, რომელიც კიდევ უფრო ასათვისებელია, გახლავთ კერძო სექტორი. მე, მოგეხსენებათ, კერძო სექტორიდან ვარ და შემიძლია დაგარწმუნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ბიზნესი არც ასეთი მასშტაბურია, არის კონკრეტული პროექტები, რომლებშიც ის სიამოვნებით დაგვეხმარება და მხარს დაგვიჭერს. მაგალითად, ავიღოთ მეცნიერების პოპულარიზაცია. პირდაპირი გაგებით ეს

არ არის კვლევა, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მეცნიერება პოპულარული გახდეს და ის დაიწყოს ბავშვობიდან, რადგან მოტივაცია ბავშვობაში ჩნდება.

– პოპულარიზაციაში რას გულისხმობთ? რა აქტივობებს გეგმათ ამ მიმართულებით?

– მეცნიერების პოპულარიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ფონდის პრიორიტეტია, ვფიქრობ, ჩვენი სუსტი მხარეა. წლების მანძილზე არაერთი ძალიან კარგი და საინტერესო პროექტი განხორციელდა, რომელიც, სამწუხაროდ, პოპულარული ვერ გახდა, რადგან ვერ მივიტანეთ კონკრეტულ ადამიანებამდე. ჩვენ უახლოეს მომავლაში დავინყებთ პოპულარიზაციის მიმართულებით აქტიური ნაბიჯების გადადგმას – პრეზენტაციებს უმაღლეს სასწავლებლებში, რომ ვესაუბროთ ყველა თაობას. ვეცდებით ვაჩვენოთ, რომ მეცნიერება არ არის მხოლოდ მეცნიერებისთვის და არც მხოლოდ რჩეულთათვისა; ჩვეულებრივ ადამიანებს შეუძლიათ ძალიან დიდი მეცნიერები გახდნენ და მსოფლიო ისტორიაში ამის არაერთი მაგალითი არსებობს. ჩვენ ვაპირებთ გამოვაცხადოთ სპეციალური საგრანტო პროგრამები; მათი საშუალებით დავაფინანსებთ მეცნიერებს, რომ მათ თავის სფეროში წაიკითხონ საჭარო ლექციები, რომელთა ჩანაწერს, მაგალითად, youtube-ზე ავტვირთავთ და ხელმისაწვდომს გავხდით კიდევ უფრო ფართო აუდიტორიისთვის. საიდუმლოსაც გეტყვით, უკვე თანხმობაც მაქვს მიღებული რამდენიმე ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერისგან, რომ დაგვეხმარებიან ამ მიმართულებით.

– პედაგოგებისთვის თუ ფიქრობთ, რომ შეიძლება მოაწყოთ ცნობილ მეცნიერებთან შეხვედრა გამოცდილების გაზიარების მიზნით?

– რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი დღეს ერთმანეთთან საუბარია. მეცნიერება უმაღლეს განათლებასთანაა გადაბმული, უმაღლესი განათლება – ზოგად განათლებასთან და ა.შ. ეს ჭაჭვი თუ არ ავანყვით, მხოლოდ ფუნდამენტური კვლევების დაფინანსებით მიზანს ვერ მივალწევთ. განათლების ყველა მიმართულება უნდა ესაუბროს ერთმანეთს. თქვენი ჟურნალის პრეზენტაციაზე ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უძლიერეს მეცნიერს, ბატონ დავით ლორთქიფანიძეს ვესაუბრე და სწორედ ამას ვამბობდით – ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ მეცნიერები ერთმანეთს ველაპარაკოთ, ერთმანეთს

ფონდისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია საერთაშორისო კვლევით პროექტებში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის მაქსიმალური ხელშეწყობა, მეცნიერების დაფინანსების დივერსიფიცირება დაფინანსების სქემებში კერძო სექტორის ჩართვისა და საერთაშორისო ფონდების მოზიდვის გზით.

მივხმაროთ და გავერთიანდეთ, რომ ქართული მეცნიერება უფრო შორს გავიტანოთ.

– თავად რამდენ უნივერსიტეტში კითხულობთ ლექციებს?

– ხშირად ვხუმრობ ხოლმე – მე მგონი, უნივერსიტეტი აღარ არის დარჩენილი, სადაც ლექციები არ წამიკითხავს-მეთქი.

– ფონდის დირექტორობა თქვენს საყვარელ საქმიანობაში ხელს არ შეგიშლით?

– ლექტორობა ჩემი ცხოვრების ნაწილია. ლექტორი ვერ გახდები, ის ან ხარ მონადებით, ან – არ ხარ. შესაბამისად, კითხვაზე პასუხი ასეთია: მიუხედავად ჩემი დღევანდელი უმძიმესი გრაფიკისა (დაახლოებით 12-14 საათი ვმუშაობ ყოველდღე), ლექტორობას თავს არ დავანებებ – ლექციები შაბათს გადავიტანე და, პრაქტიკულად, დილიდან საღამომდე უნივერსიტეტში ვარ. რატომ? იმიტომ, რომ არ შემიძლია ჩემი სტუდენტების დალატი.

– და რას იღებთ თქვენ ამით?

– ძალიან ბევრ რამეს. პირველ რიგში, ცოდნას. ახალი თაობა ზუსტად გვეუბნება, რა მიმართულებით უნდა წავიდეთ, რა მიმართულებით სჭირდება დახმარება. დავცილდებით თუ არა მათ, ჩვენ ვიქნებით ცალკე, ახალი თაობა წავა ცალკე და ველარაფერი განვითარდება.

– ბარემ ისიც მითხარით, თქვენი ოჯახი როგორ მხარალობდა ამასობაში.

– ჩემი ოჯახი, პრინციპში, შეგუებულია ჩემს რეჟიმს, მთელი ჩემი ცხოვრება ძალიან დიდი დროით და დატვირთვით ვმუშაობ, თუმცა თავისუფალი დრო, რომელიც მაქვს (თუ ასეთი მაქვს, რა თქმა უნდა), მთლიანად ოჯახს ეკუთვნის.



ფოტო: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის არქივი

ამიტომ, რა თქმა უნდა, გაგებით ეკიდებიან ჩემს რეჟიმს. იციან, რომ იმ საქმეს ვაკეთებ, რომელიც მართლა სჭირდება ჩემს ქვეყანას, მჭირდება მე და, შესაბამისად, ჩემს შვილებს.

– თქვენი შვილები რამოდენები არიან?

– ნიკოლოზი 12 წლისაა, საბა – ცხრის.

– როგორ ფიქრობთ, ისინიც თქვენს კვალს დაადგებიან?

– არ ვიცი. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, იურისტები გამოვლენ-მეთქი, თუმცა, შეიძლება ასეც იყოს. ჯერჯერობით ხან იურისტები „არიან“, ხან არქეოლოგები, ხან გეოლოგები და ხანაც ქიმიკოსები. მე ნამდვილად არ ვაპირებ მათი პროფესიის არჩევაში ჩავერიო, ვფიქრობ, ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაც უყვარს, მთავარია, რასაც აირჩევს, იმ საქმის პროფესიონალი გახდეს.

– ჩვენ, მშობლებმა რა უნდა ვქნათ ამისათვის?

– ხელი უნდა შევუწყოთ განათლებაში, რადგან განათლებაა პრიორიტეტი. ამას წინათ მინისტრის ინტერვიუ წავიკითხე და ძალიან მომეწონა მისი ფრაზა, რომ განათლება არის თავისუფლება. მე მინდა, რომ ჩვენი შვილები იყვნენ თავისუფლები, ამისათვის ჩვენ ვალდებული ვართ, მივცეთ მათ განათლება.